

ქალაქ თბილისის საზღვრების დამდგენი კომისიის სხდომის  
სხდომის ოქმი

2006 წლის 23 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები:

1. გიორგი უგულავა – (კომისიის თავმჯდომარე);
2. მამუკა ახლედანი – (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნიკოლოზ ჩხაიძე;
4. ზვიად ელიზბარაშვილი;
5. ბესიკ გელდიაშვილი;
6. სულხან სისაური;
7. ვახტანგ ყიფშიძე;
8. დავით მალრაძე;
9. ირაკლი ლეჟავა;
10. პაატა ჭიპაშვილი;
11. შალვა ჯაფახაძე;
12. გიორგი გოცირიძე;

კომისიის სხდომის დღის წესრიგი:

კომისიის დღის წესრიგში შეტანილი იყო ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ სხვა შესაბამისი უწყებებთან ერთად მომზადებული ქალაქ თბილისის საზღვრების პროექტი კერძოდ, მისი როგორც გრაფიკული, ასევე აღწერილობითი ნაწილი.

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ზვიად ელიზბარაშვილმა, კომისიას გააცნო შემუშავებული საზღვრების აღწერილობითი ნაწილი (ოქმს თან ერთვის).

შემდგომ ამისა, კომისიას წარედგინა რუკაზე დატანილი თბილისის საზღვრების გრაფიკული ნაწილი.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქმეს:

კომისიის თავმჯდომარემ – გიგი უგულავამ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – მამუკა ახლედანმა, ნიკოლოზ ჩხაიძემ, ირაკლი ლეჟავამ, პაატა ჭიპაშვილმა.

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა, მცხეთისა და გარდაბნის რაიონების გამგებლემ, კომისიას გააცნეს, ცალკეული სოფლების მოსახლეობის თხოვნა, მათი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებში მოქცევის თაობაზე.

კომისიამ მოიწონა, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტი და გადაწყვიტა:

ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის შესაბამისად, მისი საქართველოს მთავრობაში წარსადგენად, პროექტი გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის საკრებულოს.

ბ) ზემოხსენებული ორგანული კანონის შესაბამისად, ეთხოვოს გარდაბნისა და მცხეთის რაიონების საკრებულოებს შესაბამისი წარდგინებით მიმართონ საქართველოს მთავრობას შესაბამისი რაიონების საზღვრების (ქალაქ თბილისთან მიმართებაში), განხილული გრაფიკული რუკის შესაბამისად დამტკიცების თაობაზე;

გ) ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, განიხილოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ქალაქ თბილისის საზღვრების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე:  
გიორგი უგულავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:  
მამუკა ახვლედიანი

